



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული
დანადგარები“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6–10 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი
10 დეკემბერი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245433623
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრი 1110 ¹
სწავლების ენა	ქართული რუსულენოვანი კომპონენტით
კრედიტების რაოდენობა	250
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №84, 24.07.2015

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შოთა კუნჭულია, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო

¹ კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი დარგობრივ მასახიათებელთან და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (0419 – საზღვაო ინჟინერია (19.10.2017 N 183/6)).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) ბაკალავრიატის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით 2015 წლის 20 იანვარს ოქმი N01, ხოლო ბოლო ცვლილებები განხორციელებულია 2017 წლის 11 სექტემბრის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ოქმი N06. პროგრამა აკრედიტებულია 2015 წელს (გადაწყვეტილება N 84, 24.07.2015).

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 250 კრედიტი, ხანგრძლივობა 4 წელი და იგი ხორციელდება ქართულ და რუსულ ენებზე. პროგრამა ერთობლივად ხორციელდება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის და ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრი“.

საგანმანათლებლო პროგრამას მისი ერთობლივად განხორციელებიდან გამომდინარე ჰყავს ორი ხელმძღვანელი: რ. რიჩკოვი, პროფესორი (ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო) და ვ. პ. შოსტაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა).

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. იგი მოიცავს სავალდებულო (სასწავლო კურსები და პრაქტიკა) და არჩევით კომპონენტებს. სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია უცხოური ენის, საბაზისო, ზოგადტექნიკური, ფსიქოლოგიის, მენეჯმენტის და სპეციალობის სასწავლო კურსებით. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს შეთავაზებული აქვს საწარმოო და საცურაო პრაქტიკა. არჩევით კომპონენტში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი ან აირჩიოს სასწავლო კურსი, აგრეთვე უღიარდეს სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ბაკალავრიატის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა ელექტრონულ ფორმატში გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, რომლის საფუძველი იყო აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა ცენტრის მიერ პროგრამის მონიტორინგის განხორციელებაზე. შესწავლილი იქნა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები, ადამიანური რესურსის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 2016 წელს შევსებული წლიური თვითშეფასების ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი (ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“, 2016-2017 წელი“ და იქნა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა: 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას უმაღლესი განათლების საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კვალიფიკაციის შესაბამისი ფორმულირება „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“ ნაცვლად მითითებული აქვს კვალიფიკაცია „საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი“, პროგრამა შინაარსობრივად მეტწილად შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა საჭიროა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების შეცვლა დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებული ფორმულირების შესაბამისად და საცურო პრაქტიკის 20 კრედიტის 6 თვეზე განაწილება. საერთო ჯამში პროგრამა შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლებისა და ქვესტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო - დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო ვერ მოხერხდა ქვესტანდარტის სრულად შესაბამისობის დადგენა, თუმცა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა და საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების მიხედვით ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.5. სწავლა-სწავლების მეთოდები -ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სასწავლო კურსების სილაბუსებში სპეციფიკის მიხედვითაა გასაწერი კონკრეტული სწავლა-სწავლების ფორმები და მეთოდები. 2.6. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში სტანდარტი ნაწილობრივია შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, გადამოწმდა 4.1. ადამიანური რესურსი, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ფორმულირება ჩამოყალიბდეს საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ სტანდარტის მიხედვით, კერძოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი“ (1110) (რომელსაც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“) უნდა შეცვალოს კვალიფიკაციით „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“ (0419), რაც უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის სპეციფიური მეთოდების შესაბამისობაში მოყვანას დარგობრივ მახასიათებელთან.
- საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საცურო პრაქტიკა 20 კრედიტის მოცულობით სტუდენტებისთვის უნდა დაიგეგმოს 6 თვის ხანგრძლივობით.

- სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ წინაპირობად საჭიროა მიეთითოს სასწავლო კურსი „ქიმია“ და უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „გემბანის მოწყობილობები, სისტემები და მათი ექსპლოატაცია“ შესაბამისი წინაპირობა;
- საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებული მეთოდები და შესაბამისად გაიწეროს გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაიზარდოს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის დათმობილი საათების რაოდენობა ან, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება რეალურად სთავაზობს სტუდენტებს საკმარისი საათების პრაქტიკული მეცადინეობებს, გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსებში;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სტუდენტებს შეეთავაზებათ ქართულ ან რუსულ ენებზე, ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში აუცილებელია მიეთითოს ორივე ენაზე.
- საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად შეირჩეს სწავლა-სწავლების ფორმები და მეთოდები და გაიწეროს სილაბუსებში.
- პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობის (16/29) კორექტირება პროგრამაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გაზრდის საფუძველზე;
- აკადემიურმა პერსონალმა დარგში კომპეტენციის დადასტურებისთვის საჭიროა წარმოადგინოს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების ნუსხა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებში, ან განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში იქნას გაწერილი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედიტაციის დროს მიცემული რეკომენდაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში პროგრამის განხორციელების ენების (ქართული და რუსული ენები) კომპეტენციის დადასტურების აუცილებლობის შესახებ, წარმოდგენილ პროგრამაში განსაზღვრულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

„გემის ენერგეტიკული დანადგარების“ ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლის გამომუშავებაც უნდა შეძლოს პროგრამის კურსდამთავრებულმა, რათა გაცნობიერებული ჰქონდეთ საზღვაო სფეროს, სპეციალობის (კერძოდ, გემთმექანიკოსის), შესასრულებელი ვალდებულებები და პროფესიონალური საქმიანობის სპეციფიკა დარგის განვითარებაში წვლილის შეტანის მზაობისთვის.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და ამოცანებთან, რომელშიც მითითებულია შემდეგი: „იმ ღონისიებათა კომპლექსის შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც შეეხება საზღვაო ტრანსპორტის, ლოჯისტიკის და სხვა სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონების, მეზღვაურთა მომზადების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის (STCW-95) და სხვა, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნების და პრიორიტეტების შესაბამისი თანამედროვე აკადემიური უმაღლესი (I და II საფეხურის) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა“.

პროგრამის მიზანი ასევე შეესაბამება 13.06.2017 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N371 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანს საზღვაო ინჟინერიაში ბაკალავრიატის საფეხურისთვის პროფესიისთვის „გემის ინჟინერ-მექანიკოსი“.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებში, ასევე განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში არ არის გაწერილი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, პროგრამა ხორციელდება ერთობლივად უკრაინის, ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნულ უნივერსიტეტთან, აგრეთვე, თავად სპეციალობა დაფუძნებულია საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნებზე, შესაბამისად, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

„გემის ენერგეტიკული დანადგარების“ ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე კატალოგში და მისი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გემის ენერგეტიკული დანადგარების“ ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა“; ▪ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და ამოცანები, განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2013-2018); ▪ 13.06.2017 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N371 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“ ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებში, ან განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში იქნას გაწერილი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერილია კვალიფიკაციითა ჩარჩოს 6 კრიტერიუმის აღმწერის შესაბამისად. იგი შინაარსობრივად ითვალისწინებს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რაც მოცემულია უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში „საზღვაო ინჟინერია“ (დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები)-SCW კოდექსის A-III/1; III/2 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად). პროგრამით დასახული შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს, გაზომვადია და მიღწევადი, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, იმისათვის, რომ დადასტურდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დაწესებულებამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ფორმულირება უნდა ჩამოაყალიბოს საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ სტანდარტის მიხედვით, კერძოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი“ (რომელსაც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“) უნდა შეცვალოს კვალიფიკაციით „ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“ (0419), რადგან საზღვაოსნო მეცნიერებების ბაკალავრი უმაღლესი განათლების დარგობრივი სტანდარტით გათვალისწინებულია გემის ნავიგატორის სპეციალობის კომპეტენციების მფლობელი პირისთვის.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კვალიფიკაციის შეუსაბამობის გამო საგანმანათლებლო პროგრამით აღწერილი შედეგები არ ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ გემის ინჟინერ-მექანიკოსისთვის შექმნილ საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ მახასიათებელს. კვალიფიკაციის სწორი ფორმულირების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მისაღწევი სწავლის შედეგები და მათი მიღწევის სპეციფიური მეთოდები შესაბამისობაში მოვა დარგობრივ მახასიათებელთან და ამასთანავე, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთანაც და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობასთანაც;

გარდა ამისა, საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საცურაო პრაქტიკა 20 კრედიტის მოცულობით სტუდენტებისთვის უნდა დაიგეგმოს 6 თვის ხანგრძლივობით.

ვინაიდან, ექსპერტთა მიერ მონიტორინგი ჩატარდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, იმის დადგენა იცნობს თუ არა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს თუ არა მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, პროგრამას აქვს თუ არა სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და ხდება თუ არა სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადარება ვერ მოხერხდა. ასევე ვერ დადგინდა, ხორციელდება თუ არა სწავლის შედეგების შეფასება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

თუმცა, პროგრამის განხორციელების ფარგლებში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ისინი მონაწილეობენ გამოკითხვებშიც

და ხდება შედეგების ანალიზი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი (ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები,“ 2016-2017 წელი“. დოკუმენტში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლევს რეკომენდაციას საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტს, 2017-2018 სასწავლო წლის ფაკულტეტის გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული ანკეტირებისა და ანალიზის მიერ გამოკვეთილი ხარვეზები და დაიგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები“. შესაბამისად, დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „გემის ენერგეტიკული დანადგარების“ ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“;
- 13.06.2017 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N371 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები,“ 2016-2017 წელი“;
- ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ფორმულირება ჩამოყალიბდეს საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ სტანდარტის მიხედვით, კერძოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრი“ (1110) (რომელსაც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“) უნდა შეცვალოს კვალიფიკაციით „ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“ (0419), რაც უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის სპეციფიური მეთოდების შესაბამისობაში მოყვანას დარგობრივ მახასიათებელთან.
- საზღვაო ინჟინერიის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საცურაო პრაქტიკა 20 კრედიტის მოცულობით სტუდენტებისთვის უნდა დაიგეგმოს 6 თვის ხანგრძლივობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
—
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
—
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
—
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დაშვების წინაპირობაა „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - ბნსუ) ჩარიცხვა: სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად), „ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტი“ (შემდგომში - გეუ) ჩარიცხვა: სრული ზოგადი განათლება, ერთობლივ პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე ჩარიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა პირი პროგრამაზე ჩარიცხება შესაბამისი ქვეყნის (საქართველო/უკრაინა) კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის განმახორციელებელი უსდ-ების წინასწარი შეთანხმებით ერთ-ერთ უსდ-ში (ბნსუ-ში/გეუ-ში), სადაც შესაბამისი ქვეყნის (საქართველოს/უკრაინის) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიცემა ჩარიცხვის ბრძანება და ფორმდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება. საქართველოს და უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მოხილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს/უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში/გეუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). წინამდებარე პროგრამით სწავლებისთვის აუცილებელია რუსული და ქართული ენების ფლობა არანაკლებ B1 დონეზე (რუსული და ქართული ენების ფლობის დონე შეიძლება დადგინდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით/დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურებაში მოიაზრება: რუსული ენის შემთხვევაში - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად რუსული ენის ჩაბარება (უდასტურდებათ B1 დონე), უცხოეთში/საქართველოში რუსულ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერტიფიკატები და/ან სხვ.; ქართული ენის შემთხვევაში - ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შესწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ქართულ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის

დამადასტურებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი (დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ.) და/ან სხვ.). აუცილებელია კურიკულუმში დადგენილი წესით შესაბამის დონეზე ქართული და რუსული ენების ფლობის დადასტურება. გეუ-ში სტუდენტთა ჩარიცხვის შემთხვევაში ქართული ენის ფლობის დადასტურება ხდება ჩარიცხვისთანავე ან ბნსუ-ში სწავლის დაწყებამდე. ასევე, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა (ბნსუ-ს შემთხვევაში - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ (ჩამონათვალი იხილეთ სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge გაცემული ცნობა).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, პროცედურები სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით ([file:///C:/Users/123/Downloads/2017_სამაგისტრო_და_საბაკალავრო_პროგრამების_კატალოგი\(8\).pdf](file:///C:/Users/123/Downloads/2017_სამაგისტრო_და_საბაკალავრო_პროგრამების_კატალოგი(8).pdf)).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“;
- 13.06.2017 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N371 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები,“ 2016-2017 წელი“;
- ვებგვერდი <http://bntu.edu.ge/swavla/saganmanatleblo-programebis-katalogi> .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
აკრედიტაციის ექსპერტებს წინა აკრედიტაციის დროს ჰქონდათ შენიშვნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში პროგრამის განხორციელების ენების (ქართული და რუსული ენები) კომპეტენციის დადასტურების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილ პროგრამაში განსაზღვრულია.
შეფასება
ი გთხოვთ. შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი, ხოლო პროგრამის განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს გამოკითხვების შედეგების ანალიზსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ერთობლივმა საბაკალავრო პროგრამამ „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ განიცადა მოდიფიცირება აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვით. მისი შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების ბაკალავრიატის საფეხურს, გააჩნია შესაბამისი და გამჭვირვალე დაშვების წინაპირობები საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ.საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების გაცემული ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობის

დამადასტურებელი ცნობა).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია საზღვაო ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხთან (0419) დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა პროგრამაში მოცემულია განათლების ეროვნული კლასიფიკატორით გათვალისწინებული კვალიფიკაცია საზღვაოსნო მეცნიერებები 1110, რომელიც დოკუმენტში ცვლილებების შეტანამდე წარმოდგენილი იყო 1110 დარგი/სპეციალობა – „საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა)“ და შეესაბამებოდა გემის ენერგეტიკული დანადგარების კომპეტენციების მფლობელი პირის კვალიფიკაციას, ხოლო ცვლილებების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1110 – საზღვაოსნო მეცნიერება“ და ითვალისწინებს საზღვაო ნავიგაციის კომპეტენციების მიღწევის შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭებას და ამასთანავე, საჭიროა პროგრამის საცურაო პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც შეადგენს 20 კრედიტს, გაიწეროს 6 თვეზე და წლიური დატვირთვის 60 კრედიტიდან ასათვისებელი 40 კრედიტი დანარჩენ პერიოდზე (4 თვეზე), რაც რეალურად შესრულებადია ან გაიზარდოს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტები, რათა დაცული იყოს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნა 6 თვიან საცურაო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; იგი შეადგენს 250 კრედიტს, 1 კრედიტი უდრის 26 საათს. 241 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის 216 კრედიტი სასწავლო კურსები, 25 კრედიტი პრაქტიკა (5 კრედიტი საწარმოო პრაქტიკა, 20 კრედიტი სასწავლო საცურაო პრაქტიკა). პროგრამაში 9 კრედიტი დათმობილი აქვს არჩევით სასწავლო კურსებს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. პროგრამაში სასწავლო კურსებს გააჩნიათ ლოგიკური წინაპირობები, დასაზუსტებელია სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ წინაპირობა და უნდა მიეთითოს სასწავლო კურსი „ქიმია“ და აგრეთვე, უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „გემბანის მოწყობილობები, სისტემები და მათი ექსპლოატაცია“ შესაბამისი წინაპირობა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი არაა პრაქტიკის სილაბუსი, შესაბამისად გაურკვეველი რჩება მისი შეფასების სისტემა ითვალისწინებს თუ არა დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელებასა და სტუდენტის მიღწეული შედეგების შეფასებაზე, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სილაბუსი უნდა იყოს გაწერილი და წარმოდგენილი პროგრამასთან ერთად.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის მოდიფიცირებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სასწავლო უნივერსიტეტს უზრუნველყოფილი აქვს ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“;
- 13.06.2017 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N371 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ინჟინერია“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ 2016-2017 წელი“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

საჭიროა პროგრამის საცურო პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც შეადგენს 20 კრედიტს, გაიწეროს 6 თვეზე და წლიური დატვირთვის 60 კრედიტიდან ასათვისებელი 40 კრედიტი დანარჩენ პერიოდზე (4 თვეზე), რაც რეალურად შესრულებადია ან გაიზარდოს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტები, რათა დაცული იყოს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნა 6 თვიან საცურო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ წინაპირობად საჭიროა მიეთითოს სასწავლო კურსი „ქიმია“, აგრეთვე უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „გემზანის მოწყობილობები, სისტემები და მათი ექსპლოატაცია“ შესაბამისი წინაპირობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსის შინაარსს და ისინი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურთან.

სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მეტწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

ექსპერტების მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამის იმ სასწავლო კურსებში, რომელთა სწავლის შედეგებში ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება, საჭიროა გაიზარდოს პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების საათები (მაგ. ავტომატიკის საფუძვლები და ენერგეტიკული დანადგარების ავტომატიზაცია, გემების დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია, გემების და მათი ტექნიკური საშუალებების ექსპლოატაცია და სხვ.). აქედან გამომდინარე, ყველა სასწავლო კურსში თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალური შეფასების დადასტურება ძნელდება, განსაკუთრებით, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარისთვის. საზოგადოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაძლიერდეს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის საჭირო კომპონენტი შესაბამისი სწავლა-სწავლების ფორმებისა და მეთოდების მიხედვით ან, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება რეალურად სთავაზობს სტუდენტებს საკმარისი საათების პრაქტიკული მეცადინეობებს (რომლის გადამოწმებაც ვერ მოხერხდა, მაგრამ გაჩნდა ვარაუდი, რომ საშინაო დავალებები ემსახურება პრაქტიკული სავარჯიშოების ამოხსნასა და განხილვას), მაშინ გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსებში, როგორც პრაქტიკული მეცადინეობები შესაბამისი საათების მითითებით .

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და შეესაბამება საზღვაო ინჟინერიის დარგის აქტუალურ მიღწევებს, თუმცა იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სტუდენტებს შეეთავაზებათ ქართულ ან რუსულ ენებზე, ძირითადი ლიტერატურა მითითებულია მხოლოდ ერთ ენაზე (ან ქართულ ან რუსულ ენაზე). ექსპერტთა მოსაზრებით ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში აუცილებელია მიეთითოს ორივე

ენაზე (მაგ. სილაბუსებში: ავტომატიკის საფუძვლები და ენერგეტიკული დანადგარების ავტომატიზაცია - მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა, გემბანის მოწყობილობები, სისტემები და მათი ექსპლოატაცია - მითითებულია მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა და ა. შ.)

ამასთან, სასწავლო კურსის „გემის სამაცივრო დანადგარები და მათი ექსპლოატაცია“ სილაბუსში საჭიროა დაზუსტდეს სწავლის შედეგები, კერძოდ მიეთითოს დასკვნის უნარის გამომუშავებისა და ღირებულებების კომპეტენციების საზღვრები, ხოლო სასწავლო კურსის „ეკოლოგიის საფუძვლები“ სილაბუსში, რომელშიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებში აღწერილია შემდეგი კომპეტენცია „შეუძლია გარემოს დაბინძურების სახეების გამოყოფა; მავნე ნივთიერებების ცხრილებით სარგებლობა; პრაქტიკულ მუშაობაში MARPOL 73/78 კონვენციით ხელმძღვანელობა; გარემოს მდგომარეობის პარამეტრებისა და სატრანსპორტო ობიექტების ეკოლოგიური მაჩვენებლების გაზომვის მეთოდებით სარგებლობა“, საჭიროა დასკვნის უნარის გამომუშავების კომპეტენციაც მიეთითოს სათანადო აღწერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები,“
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაიზარდოს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის დათმობილი საათების რაოდენობა ან, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება რეალურად სთავაზობს სტუდენტებს საკმარისი საათების პრაქტიკული მეცადინეობებს, გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსებში;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სტუდენტებს შეეთავაზებათ ქართულ ან რუსულ ენებზე, ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში აუცილებელია მიეთითოს ორივე ენაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა.

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები სტუდენტებს ეხმარებიან მომავალ სპეციალობასთან დაკავშირებული და მათთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში, სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციებისთვის პრაქტიკული ნაშრომების ან პრეზენტაციების მომზადებაში; სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, შეისწავლონ საინტერესო და აქტუალური საკითხები, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების დახმარებით შეასრულონ მცირე მოცულობის კვლევითი ნაშრომები ან პრაქტიკული პროექტები და შემდგომ წარმოადგინონ თავისი ნამუშევარი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებზე (<http://bntu.edu.ge/axali-ambebi?start=40>);

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და მოიცავს როგორც საწარმოო (5 კრედიტი), ისე საცურაო პრაქტიკას (20 კრედიტი), რაც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტს საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა განიმტკიცოს და გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში. თუმცა საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით „დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი როგორც საგანმანათლებლო პროგრამის საწვრთნელი ნაწილი (ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი) - მეზღვაურის სერტიფიცირების მიზნისთვის, გემზე წვრთნის პროგრამა STCW კონვენციის III/1 რეგულაციით დადგენილი სტანდარტებისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ 12-თვიან დამტკიცებულ საზღვაო პრაქტიკას როგორც საწვრთნელი პროგრამის ნაწილს (ფიქსირდება წვრთნის საადრიცხო წიგნაკში, წარმოადგენს დოკუმენტურ მტკიცებულებას, ამტკიცებს საგანმანათლებლო დაწესებულება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად), საიდანაც 6-თვიანი სტაჟი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო-საწვრთნელ ნაწილს ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად, ხოლო დანარჩენი 6 თვე წარმოადგენს საწვრთნელი პროგრამის ნაწილს მეზღვაურის

სერტიფიცირების მიზნებისთვის“, შესაბამისად პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი უნდა გაიწეროს 6 თვეზე და წლიური დატვირთვის 60 კრედიტიდან ასათვისებელი 40 კრედიტი დანარჩენ პერიოდზე (4 თვეზე), რაც რეალურად შესრულებადია. სხვა შემთხვევაში პრაქტიკის კომპონენტი არ არის საკმარისი და საჭირო გახდება კრედიტების გაზრდა, რათა დაცული იყოს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნა.

პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მფლობელი, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა ან სპეციალური მომზადების მქონე დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც ხელმძღვანელობს კომპონენტს და აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

აგრეთვე, როგორც 2.2 ქვესტანდარტში იყო აღნიშნული, საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაიზარდოს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის დათმობილი საათების რაოდენობა ან, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება რეალურად სთავაზობს სტუდენტებს საკმარისი საათების პრაქტიკული მეცადინეობებს, გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსებში;

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს სახელშეკრულებო ურთიერთობები გააჩნია პოტენციურ დამსაქმებლებთან საზღვაო დარგში. ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით „პარტნიორი კრუინგული კომპანიები არა მხოლოდ უზრუნველყოფენ ბნსუ-ს სტუდენტებს სასწავლო-საცურაო პრაქტიკით, არამედ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასწავლო პროგრამების განხილვაში, მონაწილეობენ ყოველწლიურ გამოკითხვებში, შეაქვთ საკუთარი წვლილი ბნსუ-ს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადების საქმეში.“ უნივერსიტეტის პარტნიორი საკრუინგო კომპანიებია: „BALTIC GROUP INTERNATIONAL GEORGIA“; „IBERIAN NAVIGATION“; „ჯემინი“; „ფრეგატი“; „ელსერი“; „QUEENSWAY SERVICES“; „GEO BRIDGE“ „პოსეიდონი“; „GEO CREWING“; „VALMARS GEORGIA“; „EUROSTAR MARINE“; „INTERNATIONAL MARITIME GROUP“; „GLOBAL MARINE CO.“; „იალქანი“; „ARIES“; „NITC – NATIONAL IRANIAN TANKER COM“.

დაწესებულებას ხელშეკრულებები და მემორანდუმები ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი არ ჰქონდა, რის გამოც მათი გადამოწმება ითვალისწინებს თუ არა სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, ვერ მოხერხდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“,
- ვებგვერდი <http://bntu.edu.ge/chven-shesaxeb/damspartniorebi>; <http://bntu.edu.ge/axali-ambebi?start=40>

რეკომენდაციები:

საჭიროა პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი გაიწეროს 6 თვეზე და წლიური დატვირთვის 60 კრედიტიდან ასათვისებელი 40 კრედიტი დანარჩენ პერიოდზე (4 თვეზე), რაც რეალურად შესრულებადია ან გაიზარდოს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტები, რათა დაცული იყოს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნა 6 თვიან საცურაო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაიზარდოს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის დათმობილი საათების რაოდენობა ან, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება რეალურად სთავაზობს სტუდენტებს საკმარისი საათების პრაქტიკული მეცადინეობებს, გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსებში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსები შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად საჭიროებს სწავლა-სწავლების ფორმებისა და მეთოდების დაკონკრეტებას, ვინაიდან ისინი ზოგადი ჩამონათვალის სახითაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითისთვის მოგვყავს ციტირება სილაბუსებიდან „...სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად (ლექცია, სამუშაო ჯგუფში

მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და/ან სხვა,“ „... ინტერაქტიული ლექცია (თემის ახსნა), სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, ელექტრონული რესურსებით სწავლება (სწავლა-სწავლება მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტება, ანალიზი, სინთეზი, დისკუსია და სხვ.“)

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან იმის შეფასება თუ რამდენად არის სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილი და ითვალისწინებს თუ არა სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, არის თუ არა დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი სწავლების სპეციფიური მეთოდები, ვერ შეფასდა. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება თუ არა სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად შეირჩეს სწავლა-სწავლების ფორმები და მეთოდები და გაიწეროს სილაბუსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასება ზოგადი სახით „... ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, მათი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს“.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში და გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, თუმცა ყველგან გაწერილია თითქმის ერთგვაროვანი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა სტუდენტის ცოდნის შეფასებას უზრუნველყოფს, რადგან ისინი მრავალკომპონენტიან შეფასებას გულისხმობს (ფასდება სტუდენტის თეორიული ცოდნა, შესრულებული დავალება, პრეზენტაცია და სხვ.), მაგრამ არ ითვალისწინებს კონკრეტული საგნის სპეციფიკას. ამასთანავე, დასახვეწია შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც ძირითადად მითითებულია კომპონენტის შეფასების მაქსიმალური ქულის კრიტერიუმი და განმარტებულია შემდეგნაირად: „ქვემოთ მითითებულ შეფასების კრიტერიუმებთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება. შეფასების კრიტერიუმთან შეუსაბამობის (მაგ., არსებითი შეცდომის/უზუსტობების ან სხვ.) შემთხვევაში იწერება 0 ქულა. შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში იწერება შემაჯამებელი 0 ქულა.“ შეფასების კრიტერიუმების ამგვარი გაწერა სტუდენტისთვის ბუნდოვანია, რადგან მას სწავლის პროცესში გაუჭირდება „ნაწილობრივ შესაბამისობას“ და „შეცდომის/უზუსტობას“ შორის ზღვარის გავლენა, მით უმეტეს, რომ ბოლომდე არ არის დაზუსტებული როდის მიიღებს იგი 0 ქულას (კრიტერიუმთან შეუსაბამობა გამჭვირვალედ არ არის აღწერილი) და ამასთან, ერთერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღებით შემაჯამებელი 0 ქულის მიღება ექსპერტებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ.

პროგრამაში და სილაბუსებში მოცემულია შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, რომელიც წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, თუმცა ყველგან გაწერილია თითქმის ერთგვაროვანი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, რომელიც დასახვეწია და საჭიროებს უფრო ნათლად გაწერას სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების კრიტერიუმებთან ნაწილობრივ შესაბამისობისა და შეუსაბამობის შემთხვევისთვის.

საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებული მეთოდები და შესაბამისად გაიწეროს გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები.

სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სტუდენტებთან უკუკავშირის არსებობის შესახებ (მიღებული შეფასებების და დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, საშინაო დავალების განხილვა და სხვ.). დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტუდენტების დროული და დეტალური ინფორმირება მიღებული შეფასებების, მათ შორის შუალედური შემოწმებების შედეგების შესახებ. მიღებული შეფასებების ანალიზი, დამატებითი კონსულტაციები მათ საშუალებას აძლევთ გაიაზრონ დაშვებული შეცდომები, შეძლონ ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება. სტუდენტს საკუთარი შეფასებების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია ელექტრონულად როგორც პერსონალური, ასევე უნივერსიტეტის ფოიეში დამონტაჟებული კომპიუტერიდანაც.

დაწესებულებაში ხდება სტუდენტების გამოკითხვები, შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“, 2016-2017 წელი“;
- ვებგვერდი <http://bntu.edu.ge>

რეკომენდაციები:

საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებული მეთოდები და შესაბამისად გაიწეროს გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ და „ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტის“ პერსონალი: 11 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 29 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების თანაფარდობაა 16/29, ანუ მოწვეული პერსონალი 1,8-ჯერ სჭარბობს აკადემიური პერსონალის რაოდენობას და ექსპერტთა აზრით, პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა აღნიშნული თანაფარდობის კორექტირება პროგრამაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გაზრდის საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, გარდა 2 მოწვეული სპეციალისტისა (ი. მაჭუტაძე სასწავლო კურსი „ეკოლოგიის საფუძვლები“ და ა. სიხარულიძე სასწავლო კურსი „გემის ტექნიკური მომსახურება და რემონტი“) და 1 პროფესორის (ზ. გეჩაია, სასწავლო კურსი „ეკონომიკის“). ექსპერტთა მიერ მათი გადამოწმებისას დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას და პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკვეთილია, რომ დაწესებულებისთვის პრიორიტეტულია პროგრამის განხორციელებაში საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების და სპეციალური მომზადების მქონე პირთა მონაწილეობა.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურება განხორციელდა მხოლოდ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, მათი ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების გადამოწმება დარგში მათი კომპეტენტურობის დადასტურებისთვის ვერ მოხერხდა, რადგან დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია „სამეცნიერო საქმიანობა“, რომლის მიხედვითაც აკადემიური პერსონალი მონაწილეობს სამეცნიერო/პრაქტიკულ კონფერენციებში.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.

პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, რ. რიჩკოვი, პროფესორი (ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო) და ვ. პ. შოსტაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენი ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა). ისინი ფლობენ პროგრამის შემუშავებისა და წარმართვისთვის აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, მათი კვალიფიკაცია დასტურდება საზღვაო ინჟინერიის დარგის შესაბამისი განათლებით (რ. რიჩკოვი ტ.მ.კ. სპეციალობით გემის მანქანები და მექანიზმები; ვ. შოსტაკი - ტ.მ.კ. სპეციალობით გემის ენერგეტიკული დანადგარები);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი „შემაჯამებელი ანალიზი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები,“ 2016-2017 წელი“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ელექტრონულ ფორმატში <https://drive.google.com/open?id=1HFbsi16HQOyiKFdmLhTUblEGWCztg4oi>

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობის (16/29) კორექტირება პროგრამაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გაზრდის საფუძველზე;
- აკადემიურმა პერსონალმა დარგში კომპეტენციის დადასტურებისთვის საჭიროა წარმოადგინოს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო შრომების ნუსხა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის
ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ერთობლივი საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - 4.1 ადამიანური რესურსი		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მანანა მოისწრაფიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

შოთა კუნჭულია